სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შემფასებელი

პროგრამის ხელმძღვანელები:
ლევან საბაური
ტელ: 577 555 323
E-mail: levan.sabauri@tsu.ge; sabaurilevan@gmail.com
ზეინაბ ახალაძე
ტელ: 599 962 112
E-mail: zizi6464@mail.ru

თბილისი

2015 წ

I. **პროგრამის სახელწოდება:** შემფასებელი

II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 04102-პ

III. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მეხუთე

IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** შემფასებელის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. **საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო
- შემფასებლის პროფესიული სტანდარტი

VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

VII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საშემფასებლო, საბანკო, სადაზღვევო, აუდიტორულ კომპანიებში, საექსპერტო დაწესებულებებში, რომელთა მუშაობაც უკავშირდება ქონების შეფასებას სხვადასხვა მიზნებისათვის როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. შემფასებელი ასევე შესაძლოა ეწეოდეს დამოუკიდებელ საშემფასებლო პრაქტიკას.

VIII. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს შეაფასოს უძრავი და მოძრავი ქონება, არამატერიალური აქტივები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ბიზნესი ღირებულების დადგენის მიზნით. ასევე შეძლებს შესაფასებელი ქონებისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრას, შესაბამისი დასკვნის მომზადებას და მის დაცვას. პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილები იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

IX. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- შესაფასებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა
- შეფასების და ვალების განსაზღვრა და შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება, შესაფასებელი ქონების გარე ექპერტიზა
- შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება (საბაზრო მეთოდი) და შესაფასებელი ქონების ინფორმაციის ანალიზი (საბაზრო)
- შეფასების საბაზრო მეთოდის, შეფასების დანახარჯების მეთოდისა და შეფასების მათემატიკის გამოყენება
- შეფასების შემოსავლების მეთოდის გამოყენება
- შესაფასებელი ქონების საბოლოო ღირებულების დადგენა და საშემფასებლო დასკვნის მომზადება

X. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- პროგრამის მოცულობაა 135კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 24 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები*	
დასახელება	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა	2	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა	12	რისკები და ინფლაცია	4
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი	6	საწარმოს (ბიზნესის) ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება	6
მეწარმეობა	5	შესაფასებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა	7	კორესპონდენციის ორგანიზება	5
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	შეფასების დავალების განსაზღვრა	8		
უცხოური ენა	5	შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება	6		
		შესაფასებელი ქონების გარე ექპერტიზა	5		
		შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება (საბაზრო მეთოდი)	5		
		შესაფასებელი ქონების ინფორმაციის ანალიზი (საბაზრო)	6		

		შეფასების საბაზრო მეთოდი	6		
		შეფასების დანახარჯების მეთოდი	6		
		შეფასების მათემატიკა	6		
		შეფასების შემოსავლების მეთოდი	6		
		შესაფასებელი ქონების საბოლოო ღირებულების დადგენა	6		
		საშემფასებლო დასკვნის მომზადება	8		
სულ:	**20**	**სულ:**	**95**	**სულ:**	**20**

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს თსუ-ს პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.

სასწავლო პროგრამა